ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №942196

ნომერი: AR1166849

თარიღი : 04.10.2013

გაცემის თარიღი : 11.10.2013

გაცნობის თარიღი : 12.10.2013

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , წყნეთის გზატკეცილის სამხრეთით, (ნაკვეთი N1/97) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- რამაზ მოსაშვილი პ/ნ 01005002608
- თბილისი კ.მარჯანიშვილის ქ. N 4

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის ივლისის ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურს 10/04/2013 წ. #AR1166849 განცხადებით მომართა სს ”იბერია უძრავი ქონება”–ს დირექტორმა რამაზ მოსაშვილმა და მოითხოვა სამსახურის 07/23/2013 წლის 778234 ბრძანებაში ცვლილების შეტანა ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით, კერძოდ: საზაფხულო ფართობისა (აივნების) და ტერასის ფართობის გამიჯვნა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის ბრძანებით 07/23/2013 წლის 778234 შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი - ვაკე, ბაგების მიმდებარედ, წყნეთის გზატკეცილის სამხრეთით (ნაკვ. 1/97) კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთის საკადასტრო კოდი N01.14.08.001.097), შეთანხმებული გრგ–ს მიხედვით N17 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.

ზემოაღნიშნულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში საზაფხულო ფართობად დაფიქსირდა: 492.77განმცხადელი ითხოვს აღნიშნულ ფართობში შემავალი ფართების გამიჯვნას, კერძოდ: საზაფხულო ფართობად (აივნების ფართობი) 59.33 კვ.მ–ს დაფიქსირებას, ხოლო ტერასების ფართობად 433.44 კვ.მ–ს მითითებას.

სამსახურმა შეთანხმებული არქიტექტურულ პროექტის გადამოწმების შედეგად დაადგინა, რომ აივნებისა და ტერასების ფართობების ჯამი უდრის სამსახურის 07/23/2013 წლის 778234 ბრძანებაში მითითებულ საზაფხულო ფართობის ციფრობრივ მაჩვენებელს. ამასთან, გასწორებული ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეესაბამება შეთანხმებულ არქიტექტურულ გეგმა–ნახაზებს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდესის 63-ე მუხლის თანახმად ადმინისტრაციულ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია შეიტანოს ცვლილება ზემოაღნიშნულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში, ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლების განსაზღვრის ნაწილში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 07/23/2013 წლის 778234 ბრძანებაში, კერძოდ: საზაფხულო ფართობად (აივნების ფართობი) მიეთითოს 59.33, ხოლო ტერასების ფართობად მიეთითოს – (კვ.მ):433.44
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 07/23/2013 წლის 778234 ბრძანებასთან ერთად;
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მის: შარტავას ქ. №7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.